პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 1951 წ. № 268 (9122). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
შევაიარაღოთ კოლმეურნეობები მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერებით — მოწინავე (1-ლი გვერდი).
უკრაინის სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
სომხეთის სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე—„პრავდის“ 14-XI მოწინავე (მე-2 გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (მე-2 გვერდი).
ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1951 წლის 8 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 105,6 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. 1 ნოემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 600 ათასი ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 635.320 ცენტნერი ყურძენი, ანუ 55 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1950 წელს. ყურძნის დამზადება გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ბაქრაძე
საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა მინისტრი გ. ალავიძე

შევაიარაღოთ კოლმეურნეები მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერებით

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა. მას სერიოზული წვლილი შეაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისა და მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის გაფართოების საქმეში. ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ საკოლმეურნეო სოფელი აღჭურვა პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შეუქმნა მას განვითარების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოამზადა კვალიფიციური საკოლმეურნეო კადრები. ყოველივე ამან გამოიწვია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი ზრდა.

საკოლმეურნეო მშენებლობის მდიდარი გამოცდილება მოწმობს, რომ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება, მტს-ების მძლავრი ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენება, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება მთელ ნათესი ფართობზე უხვი მოსავლის მიყვანის საფუძველია. ახლა ამოცანა ის არის, რომ ჩვენი კოლმეურნეები შევაიარაღოთ მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერებით.

ჯერ კიდევ 1928 წლის 16 მაისს საკავშირო ალკკ VIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა, ლაპარაკობდა რა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანებზე, მიგვითითა: **„...მსხვილი მეურნეობა რომ მოვაწყოთ, საჭიროა ვიცოდეთ სოფლის მეურნეობის მეცნიერება. ხოლო იმისათვის, რომ ვიცოდეთ, საჭიროა ვისწავლოთ“.**

ჩვენს ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა წარმოებს კვალიფიციური საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების კადრების მოსამზადებლად. საკოლმეურნეო წყობილების პირობებში აღიზარდნენ სოფლის მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორები, შესანიშნავი საკოლმეურნეო კადრები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიისა და ძალ-ღონეს არ იშურებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ახალი აგროზოოტექნიკური ხერხების გამოყენებისა და საკოლმეურნეო მინდვრებზე გავრცელებისათვის. სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში, სკოლებსა და სხვადასხვა კურსებზე ფართო მასშტაბით მზადდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

გასული წლის შემოდგომიდან შემოღებულია წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ახალი სისტემა — სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ხელმისაწვდომია მშრომელი მასებისათვის. კოლმეურნეებს, რომლებიც წარმატებით აითვისებენ კურსების სრულ პროგრამას, ენიჭებათ სოფლის მეურნეობის I და II თანრიგის ოსტატის წოდება.

შარშან საქართველოში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე 41 ათასზე მეტი კოლმეურნე სწავლობდა. პირველი წლის მუშაობის შეჯამებამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. კოლმეურნეები დიდად არიან დაინტერესებულნი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შესწავლით. ბევრ კოლმეურნეობაში კურსების მსმენელები კარგად დაეუფლნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მოწინავე მეთოდებს, მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენეს და მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას მიაღწიეს.

სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე წელს მეცადინეობა 15 ოქტომბერს დაიწყო. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა მომზადებული შეხვდა ამ საქმეს. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის გურჯაანის, ბოლნისის, მახარაძის, ცხაკაიას, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებზე.

ამასთანავე სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, გორის რაიონში გააჭიანურეს კურსების მსმენელებით დაკომპლექტება. აღსანიშნავია, რომ მეცადინეობის დაწყების დროისათვის არც ერთი ჯგუფი მთლიანად დაკომპლექტებული არ ყოფილა და არც ერთ კოლმეურნეობაში მეცადინეობა თავის დროზე არ დაწყებულა. აქ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კურსების მეცადინეობა შარშანაც არ ყოფილა ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებული. როგორც ჩანს, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკები ნაკლებად ზრუნავენ ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის.

ზოგან სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა კვალიფიციურ კადრებს არ იყენებენ კურსების მასწავლებლებად. უცნაურია, მაგრამ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მეცნიერი მუშაკები რატომღაც არ ჩააბეს სამწლიანი კურსების პედაგოგიურ მუშაობაში. ზოგან არადამაკმაყოფილებელია მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე. მაგალითად, სიღნაღის, კასპისა და საგარეჯოს რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში ვხვდებით მეცადინეობის გაცდენებს.

ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები კურსებზე ნორმალური მეცადინეობის საქმეს არასაკმაო ყურადღებას აქცევენ. კოლმეურნეთა მასობრივი სწავლება უმთავრესად მინდობილი აქვთ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ჯგუფებს და კონტროლს არ უწევენ მათ მუშაობას.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწორად წარმართონ კოლმეურნეთა მასობრივი სწავლება, კონკრეტულად, ოპერატიულად უხელმძღვანელონ ამ საქმეს და დაეხმარონ კოლმეურნეობებს სწავლების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოწყობისათვის. კოლმეურნეობათა გამგეობები და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან მასობრივი კადრების მომზადებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებას საქმეში კვალიფიციური პედაგოგების ჩაბმას. თვითეული აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარული ექიმი, მეცნიერი მუშაკი საქმით უნდა მონაწილეობდეს საკოლმეურნეო კადრების მომზადებაში. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად რეგულარულად უნდა მოაწყონ სემინარი. ამასთან საჭიროა სემინარზე ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხების გაცნობას.

აუცილებელია კურსებზე მეცადინეობისას სათანადოდ იქნას გამოყენებული თვალსაჩინო ხელსაწყოები, მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის კინოფილმები სოფლის მეურნეობის თემებზე, ექსკურსიები მოწინავე კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

ჩვენი გამომცემლობების ვალია მეტი წიგნები, ბროშურები მიაწოდონ კურსების მსმენელებს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებაზე, მათი მუშაობის მეთოდებისა და ხერხების ჩვენებით.

საკოლმეურნეო აგროზოოტექნიკურ კურსებზე მეცადინეობის სანიმუშოდ დაყენება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, მეცნიერთა, სპეციალისტთა და კოლმეურნეთა თანამეგობრობის გაფართოება-გაღრმავების მტკიცე საწინდარია.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგახსენებთ, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულმა უკრაინის სსრ კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების მეოხებით, გაამართლეს თქვენთვის მოცემული პირობა და ვადამდე შეასრულეს 1951 წლის მოსავლის პურის დამზადების მთელი სახელმწიფო გეგმა. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 56 მილიონ 928 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე მთელ 1950 წელს, ხოლო უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურა—ხორბალი 90 მილიონ 850 ათასი ფუთით მეტი, წიწიბურა და ფეტვი 2 მილიონ 209 ათასი ფუთით მეტი.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

კარგად იშრომეს უკრაინის შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ მოიყვანეს უხვი მოსავალი, დაამთავრეს შაქრის ჭარხლის ამოღება და სახელმწიფოს ჩააბარეს 35 მილიონ 117 ათასი ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის. გრძელდება შაქრის ჭარხლის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში.

უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს ნედლი ბამბის მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. ამ რიცხვისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 120.186 ტონით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე შარშან. უძვირფასესი ზეთოვანი კულტურა—მზესუმზირა სახელმწიფოს ჩაბარდა 28.458 ტონით მეტი, ვიდრე შარშან. გრძელდება სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბისა და მზესუმზირას ჩაბარება.

ამასთან ერთად მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ბოსტნეულის დამზადებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

აგრეთვე შესრულებულია სახელმწიფო გეგმა თივის დამზადებისა 100,7 პროცენტით, მრავალწლიანი ბალახის თესლისა—111,1 პროცენტით, რაფსის თესლისა — 101,7 პროცენტით, ყურძნისა—124,0 პროცენტით, ხილისა—119,9 პროცენტით, სვიისა—111,9 პროცენტით, ქოქ-საღიზის თესლისა—107,1 პროცენტით, კრაველისა და მაუდაკისა—124,9 პროცენტით, ბრინზა ყველისა — 106,9 პროცენტით.

ამ დროისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა შარშანდელზე მეტი—ყურძენი 16.530 ტონა, ხილი 50.300 ტონა, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახის თესლი 83.768 ცენტნერი, თივა 13.117 ტონა, კრაველი და მაუდაკი 38.656 ცალი, თუთისა და მუხის აბრეშუმის ჭიის პარკი 1.700 ცენტნერი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა. საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. საშემოდგომო კულტურები დათესილია 745,9 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან, მათ შორის საშემოდგომო ხორბალი დათესილია 730,2 ათასი ჰექტარით მეტი. თესვა მოეწყო უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში და ჯიშიანი თესლით. ამჟამად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშაობენ მზრალად ხვნაზე, რათა საგაზაფხულო კულტურების თესვა 1952 წელს განახორციელონ მხოლოდ მზრალად მოხნულზე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შეასრულეს პირველი მცნება—პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, და ახლა ამთავრებენ საგაზაფხულო კულტურების თესლის შენახვას, ქმნიან სადაზღვევო, საფურაჟე და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს, წმენდენ თესლს და ამოწმებენ სათესლედ მის ვარგისიანობას, რათა საგაზაფხულო თესვა მხოლოდ და მხოლოდ მაღალხარისხოვანი თესლით შეასრულონ.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები ცდილობენ ყოველმხრივ გააუმჯობესონ საკოლმეურნეო წარმოებაში ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

უკრაინის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა სატრაქტორო სამუშაოების წლიური გეგმა (პირობით ხვნაზე გადაყვანით) 105,8 პროცენტით შეასრულეს. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სატრაქტორო პარკმა შეასრულა სამუშაოები 10 მილიონ 433 ათასი ჰექტარით მეტი, ანუ 16,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წლის ამავე თარიღისათვის. 1951 წელს კომბაინებით აღებული მარცვლეული კულტურების ფართობი 51,5 პროცენტით მეტია შარშან კომბაინებით აღებული მარცვლეული კულტურების ფართობზე, ბალახის თესლისა 21 პროცენტით, მზესუმზირასი—5,6 პროცენტით. წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მტს-ების საშუალებით დასილოსებულია საკვები ერთიორად მეტი და თივა აღებულია ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს.

ვახორციელებთ რა თქვენს მითითებებს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების შესახებ, მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, წარმატებით შეასრულეს რა საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა, ორი წლისა და ცხრა თვის მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაადიდეს 72 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—176 პროცენტით, ღორისა—269 პროცენტით, ცხვრისა—148 პროცენტით და ფრინველისა—128 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა მატყლი 24.923 ცენტნერით, რძე 286 ათასი ტონით, ხორცი 32 ათასი ტონით, კვერცხი 131.264 ათასი ცალით მეტი, ვიდრე 1950 წლის იმავე დროისათვის.

ახლა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების, კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ დაამთავრონ კარტოფილის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მატყლის, რძის, ერბო-კარაქისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება, შექმნან პირუტყვის გამოზამთრების კარგი პირობები.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიად ლენინურ-სტალინურ მეგობრობაზე დაყრდნობით, დაუცხრომლად იბრძოლებენ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და განვითარებაში და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

უკრაინელი ხალხი, თქვენდამი, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, მხურვალე სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე, უგულითადეს მადლობას გიძღვნის თქვენ, ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ყოველდღიური და განუწყვეტელი ზრუნვისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და სულით და გულით გისურვებს თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს მთელი მშრომელი და პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. მელნიკოვი
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. კოროტჩენკო
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული უკრაინის სსრ რესპუბლიკაში ვ. კალაშნიკოვი
უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. კალჩენკო
უკრაინის სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ა. ვლასენკო

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ სომხეთის სს რესპუბლიკაში ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 30.770 ცენტნერით მეტი ყურძენი, ვიდრე მთელი 1950 წლის განმავლობაში. შესრულებულია აგრეთვე ხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა 101 პროცენტით, ჩაბარებულია 34.978 ცენტნერით მეტი ხილი, ვიდრე 1950 წელს. გერანის დამზადების გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 100 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. არუთინოვი
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. კარაპეტიანი
სომხეთის სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ა. ფირუზიანი
სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ე. ყაზარიანი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული სომხეთის სს რესპუბლიკაში გ. სარუხანიანი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს დეპუტატებს, რომ პარასკევს, 16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-3 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში საღამოს 7 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი

ლიანდაგდამგები უახლოვდება სადგურ „ჟიგულის ზღვას“

კუიბიშევი, 13 ნოემბერი. (საკდესი). დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს ვოლგის მარცხენა ნაპირზე, სადაც გაჰყავთ რკინიგზის ხაზი. იგი კუიბიშევს დააკავშირებს ჰიდროკვანძის ძირითად სამშენებლო მოედნებთან.

ამჟამად მშენებლები ამთავრებენ გზის უკანასკნელ კილომეტრებს. მუშაობა წარმოებს საბჭოთა ინჟინრის პლატოვის სისტემის ლიანდაგდამგების საშუალებით.

დამგები ამწე ადვილად სწევს რელსების რგოლს შპალებიანად და ყრილზე ალაგებს თავის წინ. მელიანდაგე მუშები რგოლს ამაგრებენ დროებითი განმბრჯენებით, ლიანდაგდამგები კი ალაგებს შემდგომ რგოლს. მუშაობა სწრაფად და შეწყობილად მიმდინარეობს.

ლიანდაგდამგების მატარებლის უფროსი ინჟინერ-მაიორი პეტრე ოლხოვსკი მოგვითხრობს:

— ჩვენი ლიანდაგდამგები მუშაობდა ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მისასვლელი გზების მშენებლობაზე. ახლა ჩვენ მიღებულ გამოცდილებას ვიყენებთ კუიბიშევის ჰიდროკვანძის გზის მშენებლობაზე. კოლექტივმა იკისრა უზრუნველყოს მანქანის სოციალისტური მოვლა-შენახვა. ყოველ ცვლაში ჩვენ ვაგებთ ნორმით გათვალისწინებულზე 100-200 მეტრით მეტ ლიანდაგს.

უკანასკნელ დღეებში ლიანდაგდამგები გადაყვანილია ორ ცვლად მუშაობაზე. ღამით ლიანდაგის დაგება წარმოებს ელექტროპროჟექტორების სინათლეზე.

სულ უფრო მიიწევენ წინ ფოლადის რელსები. ლიანდაგდამგები უახლოვდება ახალი გზის ბოლო პუნქტს — სადგურ „ჟიგულის ზღვას“.

შეღავათიანი პირობები საცხოვრებელი სახლების შესაძენად

გარდა სესხისა, რაც ყოველწლიურად და დიდი რაოდენობით ეძლევათ მშრომელებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, კომუნალური ბანკები საწარმოებსა და დაწესებულებებს კრედიტებს აძლევენ გასაყიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ათასობით მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა და მოსამსახურემ ამ გზით საკუთრებად შეიძინა საცხოვრებელი სახლები. მზა სახლის ღირებულებაა 10-დან 30 ათასამდე მანეთი, იმისდამიხედვით, თუ რა ზომისაა საცხოვრებელი ფართობი, რამდენია ოთახი და სხვ.

ამჟამად შექმნილია შეღავათიანი პირობები საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ აგებული საცხოვრებელი სახლების შეძენისათვის. დღემდე სახლები იყიდებოდა ნაღდ ანგარიშზე და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გადასახდელის განვადებით ორი-სამი წლით. ახლა დაშვებულია გადასახდელის განვადება ათ წლამდე.

საცხოვრებელი სახლის ყიდვაზე ხელშეკრულებათა დადებისას მუშებსა და მოსამსახურეებს ერთდროულად უნდა გადაეხადათ სახლის ღირებულების 20 პროცენტი. ახლა ერთდროული შესატანის ოდენობა შემცირებულია 10 პროცენტამდე. (საკდესი).

მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების შედეგებისათვის

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება მუშათა და მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ.

აღნიშნულია, რომ საკავშირო დათვალიერების საბოლოო კონცერტებმა, რომლებიც 1951 წლის ოქტომბერში გაიმართა მოსკოვში, ცხადყო თეატრალური, მომღერალთა, მუსიკალური და მოცეკვავეთა თვითმოქმედი კოლექტივების მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული ზრდა და მათი მასობრიობა.

შემოქმედებითი წარმატებებისა და მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სიგელებით, აგრეთვე ფულადი პრემიებით დაჯილდოებულია 62 კოლექტივი და მათი ხელმძღვანელები და 200-ზე მეტი შემსრულებელი. მათ შორის არიან: მოსკოვის მანქანათმშენებელი ქარხნის კულტურის სასახლის, ვიბორგის კულტურის სასახლისა და ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ლენინგრადი), მინსკის ავტოქარხნის კლუბის, მოსკოვის ავტოქარხნის კულტურის სასახლის, ქალაქ სტუპინოს კლუბის, ლატვიის პროფკავშირთა საბჭოს (ქალაქი ვენტსპილსი) კლუბისა და სხვა თეატრალური კოლექტივები; ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის კულტურის სასახლისა და მოსკოვის ავტოქარხნის კულტურის სასახლის საოპერო მომღერალთა კოლექტივები, ურალის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ლენინის სახელობის კლუბის მომღერალ მამაკაცთა გუნდი, აგრეთვე 61 კომინარის სახელობის კულტურის სასახლის ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი (ქალაქი ნიკოლაევი), ქალაქ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშათა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და სხვები. (საკდესი).

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად **1950 წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველა კულტურის თესლი 1951 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. **ბარქაია** ქენია ბექოს ასული — ცხაკაიას რაიონის ლეძაძმის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

2. **გოგია** შურა ისიდორეს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

3. **დუნდუა** დავით ამბაკოს-ძე — სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **იმნაიშვილი** თამარ ოქროპირის ასული — ლანჩხუთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

5. **კოხია** ნადია ილიანის ასული — გეგეჭკორის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **კოხია** შურა ივანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

7. **კუკულავა** ნინო თეოფილეს ასული — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

8. **კუპრეიშვილი** ნინო დარისპანის ასული — სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

9. **ქუჩულორია** გოგუცა ერასტის ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

10. **ხუბუა** ვერა ჩაგუს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

11. **ჭანტურია** მარიამ მიხეილის ასული — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

12. **ჩხაიძე** სერგი ფილიპეს-ძე — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

13. **ჩხაიძე** ტატიანა ვიქტორის ასული — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **ახობაძე** ლიზა სოფრომის ასული — სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

2. **ბარქაია** კატო უტუს ასული — ცხაკაიას რაიონის ლეძაძმის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **ბარქაია** საშა ესტატეს ასული — ცხაკაიას რაიონის ლეძაძმის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **გოგეშვილი** ფენია თევდორეს ასული — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

5. **კილაძე** ისონ სოლომონის-ძე — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

6. **მირცხულავა** დარია პეტრეს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

7. **მირცხულავა** ოლია სტეფანეს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

8. **ნაკაშიძე** მარიამ გალაქტიონის ასული — საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ლანჩხუთის რაიონული კანტორის უბნის აგრონომი.

9. **შონია** მანია ისიდორეს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 266.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წლის 1 ნოემბერი.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისაგან — სამგორელ მშენებლებს

ამ დღეებში, სამგორის ზემო მაგისტრალური არხისა და თბილისის წყალსაცავის გახსნასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისაგან მიიღო წერილი სამგორელ მშენებლებისადმი. წერილში ნათქვამია:

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მრავალრიცხოვანი მშენებლები მხურვალედ მიულოცავენ სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის სახელოვან მშენებლებს ბრწყინვალე შრომითი გამარჯვებას — ზემო მაგისტრალური არხისა და თბილისის წყალსაცავის გახსნას.

მხურვალედ გისურვებთ, ამხანაგო სამგორელო მშენებლებო, შემდგომი წარმატებების მოპოვებას და მთელი სარწყავი სისტემის მშენებლობის დანიშნული ვადისათვის დამთავრებას.

გაუმარჯოს ჩვენი შრომითი აღფრთოვანების სულისჩამდგმელს დიდ სტალინს!

ინჟინრები: ხომასურიძე (მთავარი არხის მისადგომი უბნის მშენებლობის უფროსი), კუზნეცოვი (უბნის მთავარი ინჟინერი), აბულაძე (ხიდის მშენებლობის უფროსი).

საქართველოს პროფსაბჭოს

პრეზიდიუმში

პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს მიმდინარე წლის 13 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში რესპუბლიკაში ჩატარდეს საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და საამქროთა კომიტეტების, აგრეთვე პროფბიუროებისა და პროფჯგუფორგების ანგარიშგება-არჩევნები.

ძირეული პროფორგანოების ანგარიშგება-არჩევნები მოეწყობა თვითეული საწარმოს მიერ 1951 წლის გეგმის ვადამდე შესრულების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისა და მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლების ნიშნით.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ძირეულ პროფორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ჩატარების მოწყობაში, უზრუნველყონ პროფორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზე წამოაყენონ მოწინავე ადამიანები მუშათა, ინჟინერტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წრიდან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საწარმოო მუშაობაში, სერიოზული ყურადღება მიაქციონ ქალთა და ახალგაზრდების დაწინაურებას.

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

სახალხო მოსამართლის მოხსენება ამომრჩეველთა წინაშე

ამ დღეებში თბილისის ქალთა მე-18 საშუალო სკოლის შენობაში შედგა კლარა ცეტკინის, მერკვილაძის, საბჭოს, კალინინისა და ტურგენევის ქუჩებზე მცხოვრებ ამომრჩეველთა კრება, რომელსაც 300-ზე მეტი კაცი დაესწრო. მოხსენება გააკეთა მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლემ ამხ. ი. გვათუამ.

ამხ. გვათუამ გააშუქა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. მან ამომრჩევლებს დაუსახელა სოციალისტური ქონების დამტაცებელთა და სხვა დამნაშავეთა სათანადოდ დასჯის მრავალი ფაქტი. სახალხო სასამართლო დაკავშირებულია ხალხთან და ახორციელებს მის ნებას, რომელიც გამოხატულია კანონებით. იგი იცავს სტალინური კონსტიტუციით დადგენილ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს.

როგორც საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, სასამართლო უბანში, გასულ წელთან შედარებით ერთიორად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი და სამოქალაქო საქმეთა რაოდენობა.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლიც. მაგალითად, ზოგიერთ სამოქალაქო საქმის განხილვა არ ხდება კანონით დადგენილ ვადაში. იყო საწარმო-დაწესებულებებისათვის აღმასრულებელი ფურცლის თავის დროზე გაუგზავნელობის შემთხვევები და სხვ.

ამხ. გვათუას მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ამომრჩეველი შ. ბოთერაშვილი შეეხო სახალხო სასამართლოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის დადებით მაგალითებს. ამასთან ერთად მან ამხილა ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნა, რომ მოსამართლე ამომრჩევლებთან რეგულარულად არ აწყობს მოხსენებებსა და საუბრებს, იყო საპროცესო ნორმის დარღვევის ფაქტი, რომელიც იმით გამოიხატა, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მოპასუხის დაუსწრებლად.

საბჭოთა სასამართლოს პრინციპებზე ილაპარაკა ამომრჩეველმა ი. ბარნაბიშვილმა.

— ჩვენი საბჭოთა სასამართლო, ნამდვილად დემოკრატიული სასამართლოა, — თქვა მან, — იგი ემსახურება სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, მტკიცედ იცავს სოციალისტურ საკუთრებას. ამომრჩევლები ვალდებული ვართ არა მარტო მოვთხოვოთ მოსამართლეს ანგარიში, არამედ ყოველდღიურად დავეხმაროთ დაკისრებული საპატიო ამოცანის პირნათლად შესრულებაში. შემდეგ ამხ. ბარნაბიშვილმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამომრჩევლებთან მოსამართლის გულისხმიერი და თავაზიანი დამოკიდებულების საკითხს, აგრეთვე აღნიშნა, რომ ზოგჯერ სასამართლოში საქმის განხილვა ჭიანურდება, რაც სახალხო სასამართლოს მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამომრჩევლები მ. ბუცხრიკიძე, ი. ჯაჭვაძე, ე. ცანიანი და სხვ. მათ გააკრიტიკეს სახალხო სასამართლოში არსებული ნაკლოვანებანი და წამოაყენეს მრავალი საინტერესო წინადადება.

ა. გოცირიძე

მშრომელები სწავლობენ საარჩევნო დებულებას

სოხუმი. (საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში 1.500-მდე აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებას.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშათა კლუბში, საერთო საცხოვრებლებში და კომბინატის მოედნებზე გამოკრულია არჩევნების დებულება. აგიტატორმა ა. თოლორდავამ საძირის გამომჭრელ საამქროში რამდენიმე საუბარი გამართა სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.

საინტერესო და მიმზიდველ საუბრებს აწყობენ აგრეთვე აგიტატორები შ. მიქავა, ა. ივანოვი და სხვები. მოსახლეობაში არჩევნების დებულებას სისტემატურად განუმარტავენ გერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მიერ აგიტატორებად გამოყოფილი სტუდენტები და პედაგოგები.

ქალაქის პარტკაბინეტმა შეიმუშავა ლექციებისა და მოხსენებების თემატიკა. ლექტორმა ვლ. შონიამ მეშვიდე სამშენებლო უბანზე წაიკითხა ლექცია თემაზე — „ლენინი და სტალინი სოციალისტური კანონიერების შესახებ". ლექტორმა ვ. ჩიკვაიძემ თამბაქოს ფაბრიკაში — „სტალინური კონსტიტუცია გამარჯვებული ქვეყნის კონსტიტუციაა", საკონსერვო ქარხანაში ლექტორმა ი. ხუბუამ — „სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე" და სხვ.

მუშაობა განაახლეს აგიტპუნქტებმა

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება ფართოდ გაიშალა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონში შექმნილია ორი საარჩევნო ოლქი.

600 აგიტატორმა მოაწყო პირველი საუბრები მომავალ არჩევნებზე. ამომრჩევლები შეუდგნენ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესწავლას. დებულების პირველ თავზე, — „საარჩევნო სისტემა" — სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ესაუბრა აგიტატორი ს. დარსანია. საინტერესო საუბრებს მართავენ აგრეთვე აგიტატორები ც. ადლეიბა, ვ. შამუგია, ი. ლაგვილავა, ს. კუპრეიშვილი.

მოეწყო პირველი ლექციები და მოხსენებანი. მუშაობა განაახლეს აგიტპუნქტებმა. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა მოაწყეს აგიტატორთა სემინარები.

ზემო აღვანის მეცხოველეთა წარმატება

ახმეტა. (საკ. კორ.). ზემო ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. ცაძიკიძე) მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეცხვარეობის საქმეში. გეგმით მიმდინარე წლის ბოლოსათვის 23.400 სული ცხვარი უნდა ჰყოლოდათ. ფაქტიურად პირველი სექტემბრისათვის 30.000 სულზე მეტი ცხვარი ჰყავდათ.

მეცხვარეობის ბრიგადების უმრავლესობას საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ. აბრამ ითიურაძის ბრიგადამ 677 ბატკნის ნაცვლად 745 ბატკანი მიიღო და შეინარჩუნა. ალექსი იდოიძის ბრიგადამ ნამატის მიღებისა და შენარჩუნების გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, გაბრიელ ქაძის ბრიგადამ — 106,4 პროცენტით.

კოლმეურნეობამ ვადაზე სამი თვით ადრე გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალება. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 20.000 კილოგრამი მატყლი, 35.000 კილოგრამი რძე, 1.500 კილოგრამი ბრინზა ყველი და სხვ. კოლმეურნეობამ მარტო მატყლის ჩაბარების ანგარიშში 600.000 მანეთი მიიღო სახელმწიფოსაგან.

სახელმწიფო ვალდებულებათა მოხდის შემდეგ კოლმეურნეობამ შრომადღეზე ავანსად ნახევარი კილოგრამი ხორცი გაანაწილა. ა. ლეკაიძემ 597 კილოგრამი ხორცი მიიღო ავანსად, მ. თათარაძემ — 354 კილოგრამი, თაბერიძემ — 309 კილოგრამი, და ა. შ. შრომადღეზე ავანსად განაწილებულ იქნა ყველი და სხვა პროდუქტები.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ნესტიანი პური"

ამ სათაურით „კომუნისტის" 30 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელიც ეხებოდა 26 კომისრის რაიონის პროკურატურის, პურის მეორე კომბინატის № 29 საცხობის გამგის და მოლოტოვის რაიონის პროკურატურის მუშაკთა არასწორ მოქმედებას.

როგორც რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ამხ. ბ. ფურცხვანიძე გვატყობინებს, ფელეტონში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. დასახელებულ საქმეებზე პროკურორების მიერ გამოტანილი დადგენილებები გაუქმებულ იქნა და მასალები სათანადო მითითებებით გადაეგზავნა ქ. თბილისის მოლოტოვის და 26 კომისრის რაიონების პროკურორებს დანაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად და სამივე საქმეზე გამოძიების უმოკლეს ვადაში დასამთავრებლად.

მოლოტოვის რაიონის პროკურორს ამხ. გ. ბარამიძეს სულაბისა და კაციტაძის მიმართ მასალების არასწორი შემოწმებისათვის, შემოწმების ვადების უხეში დარღვევისა და ამ მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეთა მოსპობისათვის გამოეცხადა საყვედური.

მოლოტოვის რაიონის პროკურორის თანაშემწეს ამხ. კოლუაშვილს, რომელსაც პროკურატურის ორგანოებში ახლად ჰქონდა დაწყებული მუშაობა და საჭიროებდა მეტ დახმარებას და კონტროლს პროკურორის მხრივ, მიეთითა აღნიშნული მასალების უხარისხოდ შემოწმებისათვის.

კარტოფილის მოსავლის აღება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აღებულია 13.905 ჰექტარი კარტოფილი, გეგმა შესრულებულია 73,1 პროცენტით.

მოსავლის აღება დამთავრებულია ყაზბეგის, გურჯაანის, კასპის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, მახარაძისა და წყალტუბოს რაიონებში.

ახალქალაქის რაიონში დავალება 83,9 პროცენტით არის შესრულებული, ახალციხის — 85,8, თეთრი წყაროს — 64,8, თიანეთის — 85,9, დმანისის — 90,5, წალკის რაიონში — 94,8 პროცენტით.

ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე

პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული მუშაობის სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ლექციურ პროპაგანდას. როგორც აღნიშნული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ", რომელიც მიღებულია ცამეტი წლის წინათ — 1938 წლის 14 ნოემბერს, კარგად მომზადებული, შინაარსიანი ლექცია სერიოზულ დახმარებას უნდა უწევდეს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს.

ხელმძღვანელობენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებებით, პარტიული ორგანიზაციები ბევრ ღონისძიებას ახორციელებენ იმისათვის, რომ ბოლშევიზმით შეაიარაღონ ჩვენი კადრები. კომუნისტებისა და უპარტიოების ფართო მასები ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს". მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებებს.

უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ლექციური პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. გაუმჯობესდა კვალიფიციურ ლექტორთა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმე, პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფები ახლა უფრო ხშირად კითხულობენ ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად.

პარტიული კომიტეტები აწყობენ ლექციების ციკლს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, პოლიტიკურ ეკონომიაში, კომუნიზმის მშენებლობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. პარტიული კომიტეტების საუკეთესო ლექტორები კითხულობენ კარგად მომზადებულ, მიმზიდველ, შინაარსიან ლექციებს, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა სოციალისტური წყობილების, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების დიად ძალას.

ამავე დროს ლექციური პროპაგანდა ჯერ კიდევ ჩამორჩება კომუნისტებისა და ინტელიგენციის გაზრდილ მოთხოვნილებებს, სერიოზული ნაკლოვანებებია ლექტორთა ჯგუფების მუშაობაში.

წაკითხული ლექციების მნიშვნელოვანი ნაწილის იდეურ-თეორიული დონე დაბალია, შემჩნეულია დოგმატიზმი, მეღავითნური მიდგომა მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაშუქებისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებანი ლექციებში ხშირად შეუქდება თანამედროვეობასთან და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებთან დაუკავშირებლად. პარტიული განათლების სისტემაში ჯერ კიდევ ნაკლებად იკითხება ლექციები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე, განსაკუთრებით დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და პოლიტიკურ ეკონომიაში.

ლექციურ პროპაგანდაში სერიოზული ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ზოგიერთი საოლქო და სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ პროპაგანდის მნიშვნელობას კომუნისტების, ინტელიგენციისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების მიერ წარმოებულ მუშაობაში, ვერ უზრუნველყოფენ ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ლექტორთა ჯგუფებისადმი, სუსტად ახორციელებენ კონტროლს ლექციების იდეური შინაარსისადმი.

ბევრი პარტიული კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ლექტორთა კადრების შერჩევასა და აღზრდას, ნაკლებად ზრუნავს ლექტორთა იდეურ-თეორიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამავე დროს ცნობილია, რომ ლექციური პროპაგანდის წარმატება, მისი დონე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ლექტორთა შემადგენლობაზე. ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ ყოველ სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ლექციების იდეურ-პოლიტიკური შინაარსი, რასაც მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ლექტორთა შემადგენლობა განსაზღვრავს.

თვითეული პარტიული კომიტეტის მოვალეობაა ყველა პირობა შექმნას ლექტორთა წარმატებით მუშაობისათვის. ნამდვილად კი ლექტორებს ხშირად ზედმეტად ტვირთავენ მრავალი ლექციის წაკითხვით და სხვადასხვა დავალებით, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ მათს პირდაპირ მოვალეობასთან. მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) სმოლენსკის საოლქო კომიტეტი და პენზის საქალაქო კომიტეტი თავიანთ ლექტორებს ავალებენ ლექციები წაიკითხონ ბუნებისმეტყველების, სოფლის მეურნეობის, ლიტერატურის და სხვა თემებზე. ამასთან მხედველობიდან უშვებენ, რომ ასეთ თემებზე ლექციებს უნდა აწყობდნენ საბჭოების აღმასკომების კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებათა ლექტორთა ჯგუფები და მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი.

პარტიული კომიტეტების ლექტორთა ზოგიერთ ჯგუფში შექმნილი არ არის შემოქმედებითი ვითარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ლექტორების ზრდას და ლექციური პროპაგანდის დონის ამაღლებას. ლექტორთა სემინარები იშვიათად ეწყობა, სექციები არ მუშაობენ. ხშირია შემთხვევები, როცა წასაკითხავად მომზადებულ ლექციებს არ იხილავენ, რის შედეგია ლექციების ხარისხის გაუარესება, ზოგჯერ კი მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების არასწორი გაშუქება. პარტიის კურგანისა და ტამბოვის საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებში საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ლექციების ხარისხს. გასაკვირველი არ არის, რომ აქ იყო შემთხვევები, როცა ლექტორებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს თეორიის საკითხების გაშუქებაში.

პარტიული კომიტეტების ლექტორების მოვალეობაა, უჩვენონ მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მაგალითი, აღუძრან მსმენელებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე გულმოდგინე დამოუკიდებელი მუშაობის ინტერესი.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას ამოცანა — აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ლექტორთა ჯგუფების მუშაობაში და ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ ლექციური პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონის ამაღლება. აუცილებელია, ლექციებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების გაშუქებისას აღმოვფხვრათ დოგმატიზმისა და მეღავითნეობის გამოვლინებანი, განვმარტოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მეცნიერების უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, რევოლუციურ პრაქტიკასა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

განსაკუთრებით საჭიროა უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ლექციების კითხვა პარტიის ისტორიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, პოლიტიკურ ეკონომიაში, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესახებ ლექციებში უნდა ვუჩვენოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიადი გარდამქმნელი ძალა, მათი განხორციელება სსრ კავშირში, კომუნიზმის მშენებლობაში, ყოველნაირად გავუწიოთ პროპაგანდა საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე, ვამხილოთ ბურჟუაზიული მეცნიერებისა და იდეოლოგიის რეაქციული არსი.

ლექციებში საერთაშორისო საკითხებზე საჭიროა ღრმა მარქსისტული ანალიზი გავუკეთოთ მიმდინარე მოვლენებს, სისტემატურად განვმარტოთ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, გავაშუქოთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა და მიღწევები, ფართოდ გავაშუქოთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის დარაზმვა და ზრდა, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმატებანი.

პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან განუწყვეტლივ გააუმჯობესონ ლექტორთა კადრების შერჩევა და აღზრდა, ლექტორებად გამოიყენონ პარტიის წევრები, რომლებსაც უნარი შესწევთ ლექციები იკითხონ მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე.

ლექციური პროპაგანდის დონის ამაღლება პარტიული კომიტეტებისაგან მოითხოვს ყოველდღიურ ზრუნვას ლექტორთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ლექტორთა კადრების იდეურ-თეორიული ზრდისათვის. საჭიროა შევქმნათ პირობები ლექტორთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისათვის სპეციალური სემინარებისა და სექციების მოწყობის, ყველაზე აქტუალურ თეორიულ თემებზე ლექციების, აგრეთვე მეთოდიკის საკითხების განხილვის საშუალებით.

კომუნისტებისა და საბჭოთა ინტელიგენციის მზარდი პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებანი აუცილებელს ხდიან, რომ ლექტორებმა დღითიდღე აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე, დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ცალკეულ დარგებში და განუწყვეტლივ გააუმჯობესონ ოსტატობა. პარტიული კომიტეტები უნდა დაეხმარონ ლექტორებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება არა აქვთ, დაუსწრებლად დაამთავრონ უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ლექტორებს — ჩააბარონ საკანდიდატო მინიმუმი, მოამზადონ და დაიცვან დისერტაციები.

პარტიული კომიტეტების ლექტორები იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე საბრძოლო უბანზე მუშაობენ. ლექციური პროპაგანდის დონესა და გაქანებაზე ბევრად არის დამოკიდებული პარტიული განათლების წარმატებანი, კომუნისტების, ინტელიგენციისა და მშრომელთა ფართო მასების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების წარმატებანი.

შევიტანოთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, ცხადვყოთ მათი დიადი გარდამქმნელი ძალა, მათი განხორციელება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში — აი საპატიო და კეთილშობილური ამოცანა!

„პრავდის" 14-XI მოწინავე

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1951 წლის 8 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე

მაგრამ ამ „ტოტალურმა დიპლომატიამ“ უკვე ცხადყო მთელი თავისი გაკოტრება.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ეს „ძალის თეორია“ წინანდებური ყურადღებით ველარ სარგებლობს. თუ ახლა შემოაქვთ წინადადება და გაისმის სიტყვები მშვიდობის შესახებ, ეს ხდება მხოლოდ ხალხის მასების ძლიერი მოძრაობის ზეგავლენით, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობას და რომელთაგან უკვე ნახევარ მილიარდზე მეტმა ხელი მოაწერა ახალ მიმართვაზე მშვიდობის პაქტის დადების აუცილებლობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების ფართო საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა გაისმის „ძალის სიტუაციის“ პოლიტიკით უკმაყოფილების ხმები. სულ უფრო ხშირად გაისმის განცხადება, რომ თუ ამერიკა დაჟინებით იტყვის უარს მოლაპარაკების წარმოებაზე და უფრო გამალებული ტემპით დაჟინებით განაგრძობს ხელახლა შეიარაღებას, ამას დამღუპველი შედეგები ექნება როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისე მათი მოკავშირეებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთელი საგარეო პოლიტიკის საფუძველია ახალი მსოფლიო ომის მომზადება, რათა ამერიკის მონოპოლიებმა მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა და ომით გიგანტური მოგება ნახონ. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა წარიმართება არა სხვა ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, არამედ იმისაკენ, რომ დაიმორჩილონ სხვა ქვეყნები ეკონომიური დამონებისა თუ სამხედრო იძულების გზით.

უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ილებენ ახალ ღონისძიებებს, რათა გააფართოონ შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ, ახალი ომის მომზადებაში ჩაითრიონ დასავლეთი გერმანია, იტალია, თურქეთი, საბერძნეთი.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არიან ისეთ ღონისძიებათა მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, როგორიცაა „პლევენის გეგმა“ და „შუმანის გეგმა“, რომელთა საერთო მიზანია გერმანიის მილიტარიზმისა და დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო ძლიერების აღდგენა და გერმანიის რეგულარული არმიისა და ეკონომიკის გამოყენება აგრესიული მიზნებით. ამიტომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა უსიტყვოდ მორჩილმა ინგლისმა და საფრანგეთმა ჩაშალეს პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი გერმანიის საკითხზე. ამაოდ ცდილობს ბატონი აჩესონი გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი თანამონაწილეების ბოიკოტისტური პოლიტიკა პარიზში გერმანიის საკითხზე მინისტრების მოადგილეთა ოთხ თვეს გაჭიანურებული თათბირის დროს. ფაქტები ბატონ აჩესონის წინააღმდეგ მეტყველებენ. ფაქტები მეტყველებენ ამ მისი ცდის წინააღმდეგ. ფაქტები მეტყველებენ, რომ სწორედ ინგლის-ამერიკის ბლოკმა აქაც იხმარა ყოველი ღონე, რათა ჩაეშალა და, წარმატებით შესრულდა რა ეს საქმე, ჩაშალა ეს თათბირი. ჩაშალეს რა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პარიზის თათბირი, აჩესონმა და მისმა თანამოაზრეებმა სექტემბერში მოაწყეს თავიანთი თათბირი ვაშინგტონში და შემდეგ ოტავაში — ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სხდომა, რათა შეენარჩუნებინათ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და შემდგომ ევლოთ ამ გზით, მეზობლებზე თავდასხმისათვის დასავლეთ გერმანიის პლაცდარმად გადაქცევის გზით.

როგორც იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა მეორე მსოფლიო ომს, ამერიკის ოქრო უკვე ამ ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში კვლავ ფართო ნაკადად მოედინება გერმანიის სამხედრო მრეწველობაში, რათა ეს მრეწველობა ჩააყენოს ამერიკელ მონოპოლისტთა სამსახურში, რომელთაც სწყურიათ ახალ-ახალი მოგება თუნდაც მთელი კაცობრიობის დიდი უბედურებისა და მსხვერპლის ფასად. თუ რას ესწრაფვის და რას იწვევს შეერთებული შტატების პოლიტიკა იაპონიის მიმართ, ეს აშკარად ჩანს იმ ფარსიდან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით გათამაშდა სან-ფრანცისკოში იაპონიასთან ეგრეთწოდებული საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს. ეს ხელშეკრულება სავსებით ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნდა აშენდეს ნამდვილი საზავო ხელშეკრულება, ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში და დაიცავდა იაპონიის აგრესიის განმეორებისაგან. არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, არამედ ინგლისის, საფრანგეთის, კანადის, ავსტრალიისა და ზოგიერთი იმ სხვა სახელმწიფოს მთავრობებმაც, რომლებმაც ხელი მოაწერეს სან-ფრანცისკოს ხელშეკრულებას, დაარღვიეს ვალდებულებანი, რომლებიც მათ 1947 წელს იკისრეს როგორც შორეული აღმოსავლეთის კომისიის წევრებმა დადგენილებაში იაპონიის მიმართ პოლიტიკის საფუძვლების შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ იაპონიაში განახორციელონ რეფორმები, რათა მოსპონ მილიტარისტული გავლენა და მოახდინონ სრული განიარაღება და იაპონიას წაართვან შესაძლებლობა მომავალში აწარმოოს აგრესიული ომები.

ამის ნაცვლად იაპონიასთან ეგრეთწოდებული საზავო ხელშეკრულების ინიციატორები და სულისჩამდგმელები დადგნენ ყოველგვარი მილიტარისტული ორგანიზაციების აღორძინების, იაპონიაში სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნისა და გაფართოების, იაპონიის არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, ავიაციის აღდგენის გზას, იაპონიის როგორც შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო არსენალისა და პლაცდარმის შენარჩუნების გზას.

იაპონიასთან ასეთი ეგრეთწოდებული საზავო ხელშეკრულება არ შეესაბამება მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებს და თვით იაპონიის ხალხის ინტერესებს. თავს მოახვია რა იაპონიას ვალდებულება — შევიდეს სამხედრო დაჯგუფებაში, რომლის მახვილი მიმართულია იაპონიის მეზობელ სახელმწიფოთა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ეს ხელშეკრულება იაპონელ ხალხს განუმზადებს მწარე ხვედრს — იყოს საზარბაზნე ხორცი ახალ ომში, რომელსაც აგრესიული ატლანტიკის ბლოკი ამზადებს. ეს არის საშიში ნაბიჯი საერთაშორისო ურთიერთობაში. იგი ძირს უთხრის შორეულ აღმოსავლეთში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. იგი საშიშია იმიტომაც, რომ სან-ფრანცისკოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ამერიკის ჯარების მიერ იაპონიის ოკუპაციის განგრძობა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც, აგრეთვე გათვალისწინებულია იაპონიის ვალდებულება — თავისი ტერიტორია დაუთმოს ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის. სან-ფრანცისკოს ხელშეკრულება მშვიდობის ხელშეკრულება კი არ არის, არამედ შორეულ აღმოსავლეთში ახალი ომის მომზადების ხელშეკრულებაა.

სან-ფრანცისკოს ხელშეკრულება ხელს უშლის იაპონელ ხალხს განახორციელოს თავისი ქვეყნის დემოკრატიზაცია, აბრკოლებს იაპონიის სამშვიდობო ეკონომიკის განვითარებას. იგი იმას იწვევს, რომ იაპონია გადაიქცეს უცხოეთის მონოპოლიებზე დამოკიდებულ ქვეყნად, იაპონელ ხალხს ართმევს თავისი კეთილდღეობის აღდგენის შესაძლებლობას და ხელს უშლის მისი მატერიალური და სულიერი ძალების განვითარებას.

ამ ხელშეკრულების სულისჩამდგმელნი — ინგლის-ამერიკელი მონოპოლისტები, თუმცაღა, არც ისახავდნენ ასეთ მიზანს. მათ ასეთი ხელშეკრულება ესაჭიროებოდათ მხოლოდ იმისათვის, რომ ლეგალური გაეხადათ ამერიკელი მონოპოლისტებისა და იაპონელი მილიტარისტების სამხედრო კავშირის გზა. ეს ხელშეკრულება ხელს ვერ შეუწყობს და არც შეუწყობს მშვიდობის საქმეს. საბჭოთა კავშირის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთისა და ბირმის, — იაპონიასთან სამშვიდობო მოწესრიგებით ყველაზე დაინტერესებული ქვეყნების მიერ უარყოფილი, — იგი სამუდამოდ მკვდარი რჩება.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად უდევს შიში საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების შესაძლებლობის წინაშე.

ამერიკის „საქმიან“ წრეებში აშკარად აღიარებენ, რომ იქ გამეფებულია შიში „მშვიდობის საფრთხის“ წინაშე, რომ ამერიკის ბირჟაზე, როგორც ეს [illegible] ამერიკულ პრესაში, [illegible] მაშინ, როცა მოსალოდნელი ხდება ომის განგრძობა კორეაში და, პირიქით, ქვეითდება, როცა იქმნება მშვიდობის დამყარების პერსპექტივა.

ამერიკელი მილიარდერები და მილიონერები, რომლებმაც კორეაში დაიწყეს აგრესიული ომი, რასაც მათთვის კოლოსალური მოგება მოაქვს, [illegible] და არ აპირებენ ხელიდან გაუშვან ეს „ოქროს შემოწველა“ თავიანთი მილიონებისა და მილიარდების გასამრავლებლად. ისინი [illegible] კორეაში დაზავების შესაძლებლობას და ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა ჩაშალონ მოლაპარაკება კაესონში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ ხალხს, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, სწყურია და მოითხოვს ომის შეწყვეტას და მშვიდობის დამყარებას შორეულ აღმოსავლეთში.

იმ მილიონების ნიშანი, რომელსაც სვამს მორგანის ჯგუფის კონტროლქვეშ მყოფი ამერიკის ბანკი „ფერსტ ნეშენელ სიტი ბენკ ოფ ნიუ-იორკი“ [illegible], რომ შეიარაღების ხარჯების ყოველი შემცირება გაართულებს მონოპოლისტთა მდგომარეობას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა თავის ერთ-ერთ [illegible] პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ კორეაში დაზავებას შეეძლო გამოეწვია შეიარაღების ამერიკული პროგრამის განხორციელების დაყოვნება, და რომ ეს იქნებოდა „ყველაზე კატასტროფული რამ, რაც კი შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარიყო“.

მსხვილი სინდიკატური კომპანიის „სელექტედ ამერიკენ შერს ინკორპორეიტედის“ პრეზიდენტმა ედვარდ რეზინმა ბანკირების თათბირზე ღიად განაცხადა: „თუ მშვიდობა მიღწეულ იქნა, ძნელი წარმოსადგენია, რა შეცვლის თავდაცვით პროგრამას როგორც ჩვენი ეკონომიკის დასაყრდენს“.

აი იმის მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებამ კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე სათანადო ზეგავლენის მოსახდენად ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული თავდაცვისათვის მობილიზაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა ვილსონმა ამა წლის 9 ივლისს რადიოგადაცემაში ჩვენი წინადადება კორეაში დაზავების შესახებ გამოაცხადა მანევრად, რომელიც თითქოს ხიფათია იმისათვის, რომ „შეასუსტოს ამერიკის შეერთებული შტატების სიფხიზლე და ჩაშალოს ამერიკის თავდაცვის პროგრამის შესრულება“, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩაშალოს ამერიკის აგრესიული გეგმების განხორციელების სამხედრო პროგრამა. ამასთან ვილსონმა რწმენა გამოთქვა, რომ კონგრესი არ დაადგება, როგორც მან თქვა, ესოდენ საშიშ გზას. მშვიდობის გზა ბ-ნ ვილსონისათვის საშიში გზაა.

განა ყველა ეს ფაქტი საკმაო არ არის იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამერიკის საგარეო პოლიტიკის მართლაც აგრესიულ მიმართულებაში, იმაში, რომ მისი მიზანია არა მშვიდობის შენარჩუნება, არამედ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება, სისხლის რა ახალ ნაკადებად და უბედურებად უნდა დაუჯდეს ეს კაცობრიობას!

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა. (**ხანგრძლივი ტაში**). საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ იბრძვის ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რაც დამყარებულია ხალხთა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის ურთიერთპატივისცემაზე.

როცა თითქმის 20 წლის წინათ განახლდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ურთიერთობა, ი. ბ. სტალინმა ამას უწოდა უდიდესი მნიშვნელობის აქტი: „პოლიტიკურად, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — იმიტომ რომ ის გააადვილებს მშვიდობის დაცვის შანსებს; ეკონომიკურად — იმიტომ რომ ის უკუაგდებს მეორეხარისხოვან ელემენტებს და შესაძლებლობას აძლევს ჩვენს ქვეყნებს განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხები საქმიან ნიადაგზე; ბოლოს, ის ხსნის ურთიერთკოოპერაციის გზას“.

საბჭოთა ხალხის ბელადის ამ სიტყვებით გამოხატულია უმნიშვნელოვანესი პრინციპები საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი მთავრობა ყველა ქვეყნის მიმართ ახორციელებს. საბჭოთა კავშირი ურყევად ასრულებს ამ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა სახელმწიფოს მთელ მიმართულებას, ყოველ ნაბიჯს საერთაშორისო საქმეებში.

ახორციელებს რა თავის სამშვიდობო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი მთელ თავის რესურსებს იყენებს არა თავისი სამხედრო ძალების გაძლიერებისა და გამოყენების შეიარაღებისათვის, არა სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მოწყობისათვის, არამედ სამოქალაქო მრეწველობის ყოველმხრივი გაშლისა და მთელი საბჭოთა ხალხის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს შეუდგეს გრანდიოზული ამოცანის — ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის მდინარეების ვოლგის, დონის, დნეპრისა და ამუ-დარიის ფართო კომპლექსური გამოყენების ამოცანის განხორციელებას. ფართოდ არის გაშლილი დიდი მშენებლობები, რომელთაც უკვე შეუდგა საბჭოთა კავშირი, — კუიბიშევის, სტალინგრადისა და სხვა ჰიდროსადგურები, თურქმენეთის მთავარი არხი, სამხრეთ უკრაინისა და სხვა არხები. ახალი ელექტროსადგურები ყოველწლიურად მოგვცემენ 22 მილიარდ კილოვატ-საათ იაფ ელექტროენერგიას, რაც, როგორც აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. პ. ბერიამ, უდრის იტალიის ელექტროსადგურების მთელ წლიურ გამომუშავებას, ახალი სარწყავი სისტემები შესაძლებლობას მოგვცემენ მოვრწყათ და წყლით უზრუნველვყოთ 28 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა, რაც უდრის ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს ფართობს. ამ დიად მშენებლობათა მიზანია ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. ზემოაღნიშნულ დიად მშენებლობათა განხორციელებას საბჭოთა კავშირი ახმარს მილიარდობით მანეთს.

საბჭოთა კავშირში მთელი ხალხი ეწევა შემოქმედებით შრომას, მთელ თავის ძალღონეს ახმარს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და აღწევს ახალ წარმატებებს კულტურის, ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

სხვა ქვეყნებთან თავის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი ემხრობა მეგობრულ თანამშრომლობას და ეწინააღმდეგება ყოველგვარ დისკრიმინაციას, ეწინააღმდეგება ყოველგვარ ხელოვნურ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის საბჭოთა ხალხის თავისუფალ ურთიერთობას სხვა ხალხებთან, ემხრობა ხალხთა მეგობრობას.

გენერალური ასამბლეის მოღვაწეობის მთელი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი წლითიწლობით ცდილობს მიღებულ იქნას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1946 წელს საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და სამხედრო მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ. მიუხედავად წინააღმდეგობისა, რომელიც გაუწია ამ წინადადებებს ინგლის-ამერიკის ბლოკმა, გენერალურმა ასამბლეამ მაინც მიიღო ძირითადად საბჭოთა კავშირის ეს წინადადებები. მთელი შემდგომი წლების მანძილზე ეს ბლოკი ყოველნაირად უშლიდა ხელს ამ დადგენილების განხორციელებას.

შემდგომ სესიებზე, 1947-1950 წლებში, საბჭოთა კავშირი მოითხოვდა ატომური იარაღის აკრძალვას, მაგრამ ყოველთვის ხვდებოდა წინააღმდეგობას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფოთა მხრივ. საბჭოთა კავშირი აგრეთვე არაერთხელ ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ დაწესებულიყო სასტიკი საერთაშორისო კონტროლი, რათა გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიის მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენების შესახებ შესრულებულიყო მთელი სისრულითა და კეთილსინდისიერებით. მაგრამ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკი ამ შემთხვევაშიც ყოველნაირ ღონეს ხმარობდა საბჭოთა კავშირის წინადადებებს საერთაშორისო კონტროლის შესახებ და აყენებდა თავის წინადადებებს ისეთი საერთაშორისო კონტროლის შესახებ, რომელსაც საერთო არა აქვს რა ნამდვილ საერთაშორისო კონტროლთან. ეს არის არა საერთაშორისო ორგანო, არამედ იმისათვის განკუთვნილი ამერიკული ორგანო, რომ ლეგალური გახადოს და დააკანონოს ატომური იარაღის წარმოება, და არა კონტროლი გაუწიოს ატომური იარაღის წარმოების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებას, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირი, როგორც ამას მოითხოვს მილიონობით და მილიონობით ადამიანი, როგორც ამას მოითხოვს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ამ ფაქტების თვალსაზრისით ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, თუ რა ფასი აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის წევრ სხვა ქვეყნების ატეხილ ხმაურს საბჭოთა კავშირის ატომური ბომბის გამოცდასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების სხვადასხვა მოღვაწენი, რომლებიც არ ფარავენ თავიანთ გეგმებს — გამოიყენონ ატომური ბომბი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწორედ ისინი ხმაურობენ ყველაზე მეტად და ავრცელებენ ცილისწამებლურ ხმებს, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს წინააღმდეგია საერთაშორისო კონტროლისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისათვის, ხოლო შეერთებული შტატები თითქოს ასეთი კონტროლის მომხრეა. ნამდვილად კი საქმე სწორედ პირიქითაა. სწორედ საბჭოთა კავშირი მუდამ ცდილობდა და ახლაც ცდილობს დაწესებულ იქნეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი იმისათვის, რომ უკლებლივ ყველა სახელმწიფო იცავდეს ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტის [illegible], მაშინ როცა შეერთებული შტატები მუდამ ეწინააღმდეგებოდნენ და ახლაც ეწინააღმდეგებიან ასეთი კონტროლის დაწესებას. მომხრენი არიან რა ატომური იარაღისა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს არა სურთ არც ატომური იარაღის წარმოების უთუოდ აკრძალვა და არც ნამდვილი, ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი. რაც მათ ნამდვილად სურთ, ეს ის არის, როგორც ი. ბ. სტალინმა თქვა „პრავდის“ კორესპონდენტისათვის პასუხში ატომური იარაღის თაობაზე, რომ დააკანონონ ომის გამჩაღებელთა უფლება — გაჟლიტონ ატომური იარაღის საშუალებით ათეულ და ასეულ ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები.

გენერალური ასამბლეის მე-4 და მე-5 სესიებზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, ჩინეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის მშვიდობის განმტკიცების პაქტის დადების შესახებ. მთელ მსოფლიოში ნახევარ მილიარდზე მეტმა ადამიანმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ამ წინადადებას. ისინი ამჟამადაც მტკიცედ მოითხოვენ ამ წინადადების განხორციელებას, რაც დიდ იმედს იძლევა ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

* * *

ამჟამად საჭიროა განსაკუთრებით ენერგიული ღონისძიებანი, რათა მსოფლიო გამოყვანილ იქნას ამ საშიში მდგომარეობიდან, რომელშიც აგდებენ მას ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ხრიკები.

საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი მდგომარეობის წინაშე აგრესიული ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელი მოღვაწენი იძულებული გახდნენ გამოსულიყვნენ ომის საფრთხის შემცირებისა და ყველა ერის უშიშროების განმტკიცების თავიანთი გეგმით. ამ გეგმას მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის ეგრეთწოდებული სამთა დეკლარაცია, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე, აგრეთვე ბ-ნ ტრუმენის გუშინდელი რადიოსიტყვა და ბ-ნ აჩესონის დღევანდელი სიტყვა ამ ტრიბუნიდან. მიუხედავად ფართო რეკლამისა, რაც წინ უძღოდა ამ სამ გამოსვლას, შეიძლება შეუცდომლად განვაცხადოთ, რომ აქლემმა რწყილი შვა (**დარბაზში სიცილი**), იმდენად უმნიშვნელო და აშკარად ყალბია ატლანტიკური ბანაკიდან მომდინარე წინადადებანი.

მართლაც, რას გვთავაზობენ როგორც ვითომდა ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცების ყველაზე რადიკალურ საშუალებას? ჩვენ წინადადებას გვაძლევენ, თუ [illegible] ბ-ნ ტრუმენის სიტყვას, „შევუდგეთ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების აღწერას“ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ატომის ენერგიის საკითხთა ახალი გაერთიანებული კომისიის ხელმძღვანელობით. მაგრამ აშკარაა, რომ ხალხებს ესაჭიროებათ არა იარაღის აღწერა, არა იარაღის ინვენტარიზაცია, არა [illegible] ატომური ბომბების აღწერა და რეგისტრაცია, რასაც ახლა გვთავაზობენ ბ-ნი ტრუმენი, აჩესონი და სამთა დეკლარაცია, ასაღებენ რა ამას მშვიდობის განმტკიცების უახლეს გეგმად. ხალხებს ესაჭიროებათ იარაღისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილი, ქმედითი შემცირება, ატომური ბომბების წარმოების უთუოდ აკრძალვა და სასტიკი, ნამდვილი საერთაშორისო კონტროლის დაწესება ასეთი აკრძალვისათვის. მაგრამ სწორედ ეს არა სურთ ატლანტიკის ბლოკის თაოსან მოღვაწეებს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით.

1948 წელს მოითხოვდნენ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ახლა მოითხოვენ შევუდგეთ მთელი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების აღწერას და ამ აღწერის მსვლელობის ინსპექტირებას. აღწერის შედეგად მოითხოვენ გამოარკვიონ, რა იარაღი და რა შეიარაღებული ძალები ჰყავს და ეყოლება მომავალში თითოეულ ქვეყანას. ამასთან, რაც შეეხება ისეთ იარაღს, როგორიც ატომური ბომბია, ამ მხრივ ისინი [illegible] აჩესონ-ბარუხ-ლილიენტალის ყბადაღებულ გეგმას, რომელიც [illegible] ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებისათვის სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების. არც ტრუმენს, არც აჩესონს და არც ეგრეთწოდებულ სამთა დეკლარაციას არ სურთ ლაპარაკი იმისათვის, რომ აკრძალონ ატომური ბომბების წარმოება. უფრო მეტიც, ამერიკის პრეზიდენტი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ უწინდებურად აცხადებენ, რომ ატომური იარაღის გამოყენებისადმი კონტროლის ყველაზე შესაფერისი გეგმაა აჩესონ-ლილიენტალ-ბარუხის გეგმა, რაც საერთაშორისო კონტროლის აშკარა დაცინვა და ატომური იარაღის წარმოების დაკანონების საშუალებაა.

ისინი ამბობენ, რომ [illegible], მაგრამ ავიწყდებათ, რომ ის სრულიად [illegible] საბჭოთა კავშირის მიმართ.

თქმა არ უნდა, ყველა ასეთი „გეგმა“ და ყველა იმის მსგავსი წინადადებები, რომლებსაც სამთა დეკლარაცია [illegible] და რომლებსაც აქ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები იცავენ, რასაც ასაღებენ სამშვიდობო მიზნად, რომლებიც თითქოს მიზნად ისახავენ მშვიდობის განმტკიცებას და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას, ნამდვილად მიმართულია იმ ადამიანთა [illegible] თუ გულუბრყვილობით, რომლებსაც აფიქრებს თავისი მომავალი და თავისი ხალხების მომავალი. ამ წინადადებათა ავტორები ჩვეული მოურიდებლობით აცხადებენ გუშინ და დღეს, რომ ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რათა საბჭოთა კავშირმა მიიღოს ეს წინადადებანი, და ამასთან მიმართავენ ცილისწამებლურ ბრალდებებს რკინის ფარდისა და მისი მსგავსი სისულელის შესახებ. მაგრამ რა ფასი აქვს ამ წინადადებებს, რომლებიც ცდილობენ ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ნამდვილ ღონისძიებათა უარყოფას, მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმე შეცვალონ მარტოოდენ ლაყბობით თითქოს შეიარაღების შემცირების შესახებ. რა ფასი აქვს მთელ ამ წამოწყებას, რაც გამოხატულია ეგრეთწოდებულ სამთა დეკლარაციაში, თუ შეიარაღების ეგრეთწოდებულ შემცირებას თავის წინადადებათა შეტანით ამ წინადადებათა ავტორები აცხადებენ, რომ, სანამ გრძელდება ომი კორეაში და სანამ ერთა გამყოფი მთავარი პოლიტიკური საკითხები, — მე მომყავს შესაბამისი ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გუშინდელი სიტყვიდან, — მოუწესრიგებელი რჩება, ნამდვილი პროგრამა შეიარაღების შემცირების მხრივ შეუძლებელია. ეს დამახასიათებელი შენიშვნა მთლიანად ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით სამი სახელმწიფოს ეგრეთწოდებული „სამშვიდობო“ შემოტევის ნამდვილ მიზნებს, რომლებსაც მშვიდობის განმტკიცების საქმესთან საერთო არა აქვთ რა, რომლებიც აშკარად ისახავენ მიზნად მხოლოდ მანევრი მოახდინონ და ყოვლისმომცველი სიტყვებით მშვიდობის შესახებ, რათა მიაძინონ ხალხების სიფხიზლე. თუ, მართლაც, საქმე მშვიდობის განმტკიცებას ეხება, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ყოველი გულწრფელი გეგმა უნდა ემყარებოდეს ამდენადვე გულწრფელ მისწრაფებას — დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო კორეის ომს, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი ღონისძიებანი. ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ მიიღონ რაიმე ღონისძიება კორეის ომის შეწყვეტისათვის, რადგან ეს არა სურთ ამერიკის შეერთებული შტატების მილიარდერებსა და მილიონერებს, რომლებიც უზომოდ მდიდრდებიან ამ ომით, სამხედრო ისტერიით, გამალებული შეიარაღებით.

ბ-ნმა აჩესონმა შესაძლებლად ცნო გაემეორებინა საზიზღარი ცილისწამება ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ მსოფლიოს [illegible], როგორც მან განაცხადა, მიუთითა რა ამასთან უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაზე. მე მაინცდამაინც არ შევჩერდები ამ საკითხზე, რამდენადაც უკვე არაერთხელ ყოფილა [illegible] აჩესონის ბანაკიდან გავრცელებული ცილისწამებლური ბრალი ამის შესახებ. თქვენ, ბ-ნო აჩესონ, ლაპარაკობთ ადამიანის უფლებების დარღვევაზე სხვა ქვეყნებში. მაგრამ მეც მინდა ვთქვა იმის შესახებ, რაც წავიკითხე დღეს საღამოს ფრანგულ გაზეთში, — ამაღელვებელი დანაშაულის შესახებ, რომელიც ამას წინათ ჩადენილ იქნა ფლორიდაში, როცა ორი ზანგი — სემუელ შეპარდი და ვოლტერ ირვინი, — რომლებსაც ამერიკის სასამართლომ ბრალად დასდო, თითქოს მათ გააუპატიურეს თეთრკანიანი ქალი, გამართლებულ და გათავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ, რადგან, როცა ამ უბედურ ზანგებს ასამართლებდნენ, კანონები მეტისმეტად [illegible] დაირღვა. მას შემდეგ, რაც ამერიკის სასამართლომ ისინი გაამართლა, [illegible] მოკლა პოლიციამ.

ამავე დროს ქალაქ ოუსტისში ამერიკელი ზანგის რამდენიმე სახლი, სადაც ეს ტრაგედია მოხდა, რასისტებმა გადაწვეს. ამან ამერიკელი ხალხის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე უოლტერ რეიტერი, როგორც პრესა იუწყება, ნიუ-იორკის საქალაქო პროფკავშირთა კონგრესზე იძულებული გახდა განეცხადებინა: „ჩვენ ვიცით, რომ ბევრ შტატში [illegible] ორი სხვადასხვა [illegible]: ერთია შავკანიანებისათვის და მეორე — თეთრკანიანებისათვის“. ეს ერთეული ფაქტი როდია. ეს საკმაოდ გავრცელებული ილუსტრაციაა იმისა, თუ რას წარმოადგენს ადამიანის ამერიკული უფლებები, ამერიკული ცხოვრების წესი, რომელსაც ჩვენ ასე გადაჭრით უარვყოფთ.

* * *

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, რომ ამჟამად საჭიროა მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რათა აცილებულ იქნეს ახალი ომის საფრთხე და უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო კორეის ხალხისათვის თავსმოხვეულ ომს, დამყარდეს მშვიდობა კორეაში და წყნარი ოკეანის სხვა რაიონებში.

საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ღონისძიებანი ახალი მსოფლიო ომის იმ მზადების წინააღმდეგ, რაც მიმდინარეობს ზოგიერთ ქვეყანაში და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, აგრეთვე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 267.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

საფრანგეთსა და ატლანტიკის იმ აგრესიულ ბლოკში შემავალ სხვა სახელმწიფოებში, რომელში მონაწილეობაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან.

საჭიროა დაუყოვნებლივ აიკრძალოს ატომური იარაღის წარმოება და დაწესდეს სასტიკი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი, იმ ანგარიშით, რომ ატომის ენერგია და უკვე დამზადებული ატომური ბომბები გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის.

საჭიროა ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, შეწყდეს სამხედრო ბაზების შექმნა სხვის ტერიტორიებზე და გაყვანილ იქნას სხვისი ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარები.

საჭიროა ყველა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის, სამხედრო მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები გამოიყენოს ხალხთა საჭიროებისათვის, მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საჭიროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა და სსრ კავშირმა გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი, დადონ ურთიერთ შორის მშვიდობის პაქტი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს მოუწოდონ — შეუერთდნენ ამ პაქტს. ასეთმა ღონისძიებებმა უნდა ჩაშალოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველი წრეების აგრესიული გეგმები და თავიდან აგვაცილოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. (ტაში).

საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის დელეგაციას შემოაქვს წინადადებანი, რომლებიც მისი ღრმა რწმენით იმ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელზეც ოცნებობს, რომლისთვისაც ცხოვრობს და შრომობს მილიონობით და მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა კუთხეში.

საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მშვიდობის სრული გამარჯვებით დამთავრდება.

„მშვიდობა, — როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ი. ბ. სტალინმა თქვა, — შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“. (ტაში).

გენერალურმა ასამბლეამ ყური უნდა დაუგდოს ხალხთა ხმას და მოიხადოს თავისი ვალი ამ დიად და კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა დელეგაციას, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით შემოაქვს გენერალური ასამბლეის განსახილველად შემდეგი წინადადებანი:

„ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობის და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

პირველი: გენერალური ასამბლეა აცხადებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან შეუთავსებელია აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობა, აგრეთვე ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სხვის ტერიტორიებზე სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნა.

მეორე: გენერალურ ასამბლეას საჭიროდ მიაჩნია, რომ:

ა) კორეაში საომარი მოქმედების მონაწილე ქვეყნებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება, დადონ დროებითი ზავი და უკან დასწიონ თავიანთი ჯარები 38-ე პარალელიდან 10 დღის განმავლობაში;

ბ) უცხოეთის მთელი ჯარები, აგრეთვე უცხოელ მოხალისეთა ნაწილები გაყვანილ იქნან კორეიდან სამი თვის ვადაში.

მესამე: გენერალური ასამბლეა მოუწოდებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს, ისე იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებიც ამჟამად არ შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განიხილონ მსოფლიო კონფერენციაზე საკითხი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

რეკომენდებულ იქნას აღნიშნული მსოფლიო კონფერენციის მოწვევა ყოველისად მოკლე დროში და, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს 1952 წლის 1 ივნისისა.

მეოთხე: გენერალური ასამბლეა მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს დადონ მშვიდობის პაქტი და გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ამ მაღალი და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

გენერალური ასამბლეა ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსაც მოუწოდებს შეუერთდეს მშვიდობის პაქტს“.

• • •

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამ წინადადებათა მიღებას, რომელთა ნაწილიც უკვე წინათ შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის განსახილველად, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.

სსრ კავშირის დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ ამ წინადადებებს მხარს დაუჭერს ყველა ის სახელმწიფო, რომელიც მშვიდობისაკენ მიისწრაფვის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. (**ხანგრძლივი ტაში**).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გენერალური კომიტეტის სხდომა

პარიზი, 11 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გენერალური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა გენერალური ასამბლეის საბოლოო დღის წესრიგის განხილვა.

გენერალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება — ურჩიოს გენერალურ ასამბლეას დღის წესრიგში შეიტანოს საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

ერთადერთი აზრი დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ გამოთქვა დომინგოს რესპუბლიკის დელეგატმა.

საბჭოთა დელეგატმა ი. ა. მალიკმა მოკლე სიტყვით დაასაბუთა დღის წესრიგში საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული საკითხის შეტანის საჭიროება. აღნიშნა რა, რომ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ ასამბლეის პლენარულ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში დაწვრილებით დაასაბუთა, რომ საჭიროა გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს საკითხი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მსოფლიო გამოყვანილ იქნას იმ საშიში მდგომარეობიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა ომის გამჩაღებელთა და იმათი ხრიკების გამო, ვინც მათ ეხმარება. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ბოლო მოეღოს ომს კორეაში, თქვა ი. ა. მალიკმა. საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ღონისძიებანი ახალი მსოფლიო ომის მზადების წინააღმდეგ. ამ მზადებას ეწევიან ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში შედიან. ბოლოს, საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღის წარმოება და დაწესდეს მტკიცე კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი, რათა ატომის ენერგია და არსებული ატომური ბომბები გამოყენებულ იქნას მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით.

ამერიკის დელეგატმა ოსტინმა ვერ გამოძებნა ვერავითარი საბუთი, რომელიც შეიძლებოდა წამოეყენებინა სესიაზე საბჭოთა წინადადების განხილვის წინააღმდეგ, და იძულებული გახდა დათანხმებულიყო დღის წესრიგში ამ წინადადების შეტანაზე. ოსტინმა თავისი „თანხმობა“ იმით დაასაბუთა, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებიც ცდილობენ ატომური იარაღის აკრძალვას და შეეცდებიან ეს დაამტკიცონ საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადების განხილვისას. ამასთან ოსტინმა კვლავ დაიმოწმა ყბადაღებული „ბარუხის გეგმა“, რომელიც, როგორც ცნობილია, საამისოდ არავითარ საფუძველს არ იძლევა.

გუშინდელი სხდომის შემდგომ მსვლელობაში, ისე როგორც გენერალური კომიტეტის წინანდელი სხდომების დროს, აშკარად იჩინა თავი ამერიკა-ინგლისის ბლოკის მისწრაფებამ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგი აავსონ ისეთი საკითხებით, რომლებიც დასმულია იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნას ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტებს მათი ბატონის პირდაპირი მითითებით ზედიზედ შეაქვთ წინადადებანი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ისეთი საკითხების შეტანის შესახებ, რომლებიც ოდნავაც ვერ შეუწყობენ ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტას. მაგალითად, გომინდანელთა ხროვის წარმომადგენლებმა ინგლის-ამერიკის ბლოკის მხარდაჭერით დღის წესრიგში კვლავ შეიტანეს უაზრო ცილისწამება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; თვით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა წესდების დარღვევით და გერმანიის შესახებ ოთხი სახელმწიფოს არსებულ შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ კვლავ შეიტანეს საკითხი გერმანიაში არჩევნების მოწყობის პირობების გამოსაკვლევად ვეროთწოდებული საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ.

ამავე დროს ამერიკულმა უმრავლესობამ არ დაუშვა მაროკოში საფრანგეთის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დარღვევის შესახებ არაბული ქვეყნების კანონიერი და დასაბუთებული საჩივრის განხილვა.

როცა გუშინდელ სხდომაზე გენერალური კომიტეტის თავმჯდომარემ ნერვომ განსახილველად დააყენა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ, ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა ტაილანდის დელეგატი. იგი ფაქტების დამახინჯებით ამტკიცებდა, თითქოს ეს საკითხი უკვე დაწვრილებით და რამდენჯერმე განხილულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოში. ამ საბაბით მან შეიტანა წინადადება—რჩევა მიეცეს გენერალურ ასამბლეას არ შეიტანოს ეს საკითხი დღის წესრიგში და გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე პარიზში დაშვებულ არ იქნას რაიმე ისეთი წინადადების განხილვა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობას შეეხება.

ამ წინადადების მხარდასაჭერად დაუყოვნებლივ გამოვიდა ამერიკის დელეგატი ოსტინი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ გენერალურ ასამბლეას ფაქტიურად წაერთვას უფლება ამ საკითხის განხილვისა, რომელიც აღელვებს ასეულ მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში და უშუალოდ ეხება 475-მილიონიან ჩინელ ხალხს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა კვლავ გაილაშქრა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბოლო მოუღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლის-ამერიკის ბლოკის მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინელი ხალხისადმი შეუწყნარებლად უსამართლო დამოკიდებულებას.

შემოაქვს რა თავისი წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევის საკითხზე, განაგრძო ი. ა. მალიკმა, სსრ კავშირის დელეგაცია ემყარება იმას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს დიდი ჩინელი ხალხისადმი უსამართლო და უკანონო დამოკიდებულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აგრესიული ჯგუფების მხრივ.

შემდეგ ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ ცდები— სადავოდ გახადონ ჩინელი ხალხის სუვერენული უფლებანი, ან ხელი შეუშალონ მათს განხორციელებას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს უხეშად არღვევენ იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც აბრკოლებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა დაშვებას. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი წესდების აბუჩად აგდება შეიძლება ეწოდოს იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღემდე რჩებიან წარმომადგენლები გომინდანელთა ხროვისა, რომელიც თავის თავს გარდა არავის არ წარმოადგენს.

გომინდანელის ღვარძლიანი ანტისაბჭოთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო პოლონეთის დელეგატმა, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა მხარი სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გომინდანელთა ყოფნა უაზრო და უკანონოა, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ჩინელ ხალხს და ვერც იკისრებენ და ვერც შეასრულებენ რაიმე ვალდებულებას მისი სახელით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გომინდანელთა მონაწილეობის მიზანი ერთია—გაავრცელონ სიცრუე და ცილისწამება, განხეთქილება შეიტანონ გაერთიანებული ერების რიგებში.

ინგლის-ამერიკის ბლოკის ხმებით გენერალურ კომიტეტს თავს მოახვიეს რეზოლუცია, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ არ იქნას საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ.

შემდეგ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგში შეტანილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივი წინადადება, რომლის მიზანი თითქოს ის არის, რომ დასაბამი მიეცეს „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების, მათ შორის ატომური იარაღის რეგულირებას, შეზღუდვასა და თანაბარ შემცირებას“. ამ საკითხზე განმარტებითი დოკუმენტის სახით ამ სამი ქვეყნის დელეგაციებმა შეიტანეს „სამთა დეკლარაცია“. ერთ-ერთი ცდა—გაძლიერებულ იქნას გაერთიანებული ერების რიგების გათიშვა და გამოყენებულ იქნას გენერალური ასამბლეა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ცილისწამებისა და პროვოკაციული ჭორების მიზნით—იყო ტიტოს ხროვის წარმომადგენლის წინადადება — გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანათ საზიზღარი ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, თითქოს იუგოსლავიას საფრთხე მოელის ამ ქვეყნების მხრივ.

გამოაამჟღავნა რა ამ ცილისწამებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი განხილვის მიზნების ნამდვილი სარჩული, სსრ კავშირის დელეგატმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ იუგოსლავიის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს ტიტოს, რანკოვიჩის, კარდელის ხროვა, დიდი ხანია დაადგა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ მტრული პოლიტიკის განხორციელების გზას, დიდი ხანია გადაიქცა ინგლის-ამერიკის ბლოკის აგრესიული პოლიტიკის იარაღად.

აღნიშნა რა, რომ იუგოსლავი პროვოკატორები უკვე მხილებულ იქნენ და საკადრისი პასუხი მიიღეს გენერალური ასამბლეის მე-5 სესიაზე, როცა ისინი ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ უნგრეთისათვის, ი. ა. მალიკმა თქვა:

„ამრიგად, გენერალური კომიტეტი და გენერალური ასამბლეა უკვე იცნობენ იუგოსლავიის მთავრობის მოქმედების მეთოდებს, რომელიც მიმართავს სიცრუეს, ცილისწამებისა და პროვოკაციების მისთვის ჩვეულ ხერხს.

ტიტოს ხროვის მიერ შემოტანილი წინადადება — გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ცილისწამება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, იუგოსლავი მმართველების მორიგი პროვოკაციაა“.

ი. ა. მალიკმა ფაქტებით ცხადყო ინგლის-ამერიკელ აგრესორთა იარაღად ტიტოს ხროვის გადაქცევა და განაგრძო:

„ისტორიამ იცის ბევრი შემთხვევა, როცა გაკოტრებული პოლიტიკოსები ცდილობდნენ ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყვნენ მოტყუებით, პროვოკაციებით და ტერორით. მაგრამ მოტყუებით შორს ვერ წახვალ. ხალხების მოტყუება არ შეიძლება.

ტიტო და მისი კომპანია ორიგინალური როდი არიან. ისინი მხოლოდ იმეორებენ გომინდანელთა ხროვის პროვოკაციულ ხრიკს. მხოლოდ ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათი მორჩილი აგრესიული ბირთვის წარმომადგენელთა მხარდაჭერით ხმა მისცეს იმას, რომ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის დღის წესრიგში შეეტანათ გომინდანელთა ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. დღეს მათი მეკვეთის შემსრულებელი ტიტოს ხროვა გამოძვრა და წამოაყენა თავისი ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ“.

ი. ა. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება და ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარება. იუგოსლავიისა და იუგოსლავი ხალხისათვის ნამდვილ საფრთხეს კი წარმოადგენს იუგოსლავიაში ამერიკელ მონოპოლისტთა და მილიტარისტთა თარეში და იუგოსლავიის გადაქცევა ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიად.

გენერალურ ასამბლეას, თქვა დასასრულ ი. ა. მალიკმა, არავითარი საფუძველი არ მოეპოვება განიხილოს ტიტოს ცილისწამება. ყველასათვის ცხადია იმ ჭორების ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხასიათი, რომლებსაც იგი შეიცავს. საბჭოთა კავშირის დელეგაცია წინააღმდეგია და ხმას მისცემს იმის წინააღმდეგ, რომ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ტიტოს ცილისწამება.

კომიტეტის წევრების — ამერიკა-ინგლისის სატელიტების ბანაკის წარმომადგენელთა ხმებით მიღებულ იქნა წინადადება გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ტიტოელთა ცილისწამების შეტანის შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე იანგუს ჩრდილოეთით ამერიკის 1-ლი და მე-7 ქვეითი დივიზიების ნაწილებმა მრავალი თვითმფრინავის, ტანკებისა და არტილერიის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანეს გააფთრებული იერიშები სახალხო არმიის თავდაცვის ხაზის გარღვევის მიზნით. სახალხო არმიის მძლავრი ცეცხლის შედეგად მოწინააღმდეგე იძულებული გახდა უკან დაეხია. ამ ბრძოლაში მწყობრიდან გამოყვანილ იქნა მოწინააღმდეგის 9 ტანკი.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტებზე სახალხო არმიის შენაერთები წინანდელ ზღუდეებზე ეწევიან ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი და დააზიანეს ერთი თვითმფრინავი, რომლებიც ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ მშვიდობიან მოსახლეობას სუნანის, ნამფხოს რაიონებში და ფხენიანის მიდამოებში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომუნიკე

ვენა, 13 ნოემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„ამბები, რომლებიც ეგვიპტესა და სუდანში მოხდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის მთავრობამ გააუქმა 1936 წლის უსამართლო ხელშეკრულება და ბოლო მოუღო სუდანის ეგრეთწოდებულ „ცალკე მართვას“, მნიშვნელოვანი ეტაპია ეგვიპტისა და სუდანის ხალხთა ბრძოლაში უცხოეთის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

ეგვიპტის მიერ უარის თქმა — შეუერთდეს სამხედრო პაქტს, რომელიც ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს სურდათ თავს მოეხვიათ ამ ქვეყნისათვის, რათა სხვა სახელწოდებით განეგრძოთ მისი ოკუპაცია, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია და წარმოადგენს ძვირფას წვლილს მშვიდობის საქმეში.

მთელი მსოფლიოს 80 მილიონი ორგანიზებული მუშის სახელით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მიესალმება მამაც ეგვიპტელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ფედერაცია გამოხატავს მთელი მსოფლიოს მილიონობით მუშის გრძნობებს, ძმურ სალამს უთვლის რა კაიროს, ალექსანდრიის, ისმაილიის, პორტ-საიდის, ხართუმისა და ეგვიპტის სხვა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მუშებს, რომლებიც მოქმედებენ მამაცურად, გაბედულად და მრავალი მსხვერპლის ფასად ეგვიპტისა და სუდანის ხალხებთან ერთად შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან უცხოეთის იმპერიალიზმის—მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრის წინააღმდეგ.

ყველა ხალხის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მუშების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წესდებაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მე-2 კონგრესმა, რომელიც 1949 წელს შეიკრიბა მილანში, დაადასტურა ეს პრინციპები, განაცხადა რა საბოლოო რეზოლუციაში, რომ ჩვენს მსოფლიო ორგანიზაციას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს მხარი დაუჭიროს კოლონიურ, ნახევრადკოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს „თვითგამორკვევის უფლებისა და სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლაში.

დამოუკიდებლობისათვის ამ ბრძოლაში ეგვიპტისა და სუდანის მუშები მარტონი როდი არიან, მათ ჰყავთ ძლიერი მოკავშირეები: გლეხთა დიდი მასები, ინტელიგენცია, სტუდენტები, აგრეთვე მთელი პატრიოტული და დემოკრატიული ძალები, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან. ამიტომ ისინი არ უნდა განცალკევდნენ თავიანთი მოკავშირეებისაგან, რადგან კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მჭიდროდ დარაზმული ერთიანი ფრონტიდან მოსახლეობის ამა თუ იმ ფენის გამოთიშვა შეასუსტებდა ძალებს და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მაგრამ ეს ფართო ეროვნული ერთიანობა შეუძლებელია ნამდვილად განხორციელდეს, თუ არ იქნა მისი ძირითადი ძალის—მუშათა კლასის ერთიანობა.

ეგვიპტისა და სუდანის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ქვეყნის მიმართ უნდა შეასრულონ ძნელი და დიდად პასუხსაგები ამოცანა. ძირითადი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუშათა კლასის ერთიანობის შექმნა და მუშების სულ უფრო მზარდი გაერთიანება მოსახლეობის სხვა ფენებთან, რათა განხორციელდეს ეგვიპტისა და სუდანის ხალხთა სამართლიანი მოთხოვნები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ეგვიპტისა და სუდანის მუშები, აგრეთვე მათი პროფკავშირული ორგანიზაციები შეასრულებენ ამ ამოცანას და ერთსულოვანი და გაბედული მოქმედებით სხვა პატრიოტებთან ერთად შეძლებენ დაიცვან თავიანთი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“.

ეგვიპტეში შემოღებულია საგანგებო წესები

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, დღეს დილიდან ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე სამი დღით გამოცხადდა საგანგებო წესები.

საგანგებო წესების კანონი შეფარდებულია ეგვიპტის „ეროვნული ბრძოლის დღისადმი“ — ეგვიპტეზე ინგლისის პროტექტორატის რეჟიმის ლიკვიდაციის შესახებ ეგვიპტის მიერ 1918 წელს წარდგენილ მოთხოვნათა წლისთავისადმი.

სუეცის არხის ზონის ქალაქებში აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაცია.

ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

კაირო, 13 ნოემბერი. (საკდესი). ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება სუეცის არხის ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. განცხადებაში ჩამოთვლილია ინგლისის ჯარების მიერ ეგვიპტელთა გაჩხრეკის, დაპატიმრებისა და ამ ზონის ტერიტორიიდან გაძევების მთელი რიგი ახალი შემთხვევები.

პაკისტანის მშრომელები მხარს უჭერენ ეგვიპტის ხალხის ბრძოლას

კარაჩი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ჯანგი“ იუწყება, რომ გაიმართა კარაჩის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოსა და დაწესებულების პროფკავშირთა წარმომადგენლების კრება.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ეგვიპტელ ხალხსა და ეგვიპტელ მუშებს უცხადებენ, რომ „პაკისტანელი მუშები მუდამ მათთან არიან“. დამსწრენი წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს ეგვიპტეს!“, „გაუმარჯოს პაკისტანს!“, „ძირს ინგლის-ამერიკის ბლოკი!“

მეორე რეზოლუციაში კრების მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს მეწარმეების მიერ მუშების ძირითად უფლებათა დარღვევა.

შეჯიბრება საქალაქო პირველობაზე ვაჭრობაში (?)

თბილისში ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა დედაქალაქის სასპორტო საზოგადოებათა კოლექტივების შეჯიბრება თბილისის 1951 წლის პირველობაზე მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ნაპერწკლის“, „მეცნიერების“, „მედიკოსის“, „ქარიშხალას“, „შრომითი რეზერვებისა“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენები.

სპორტულ ტანვარჯიშში პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ნ. დოლიძე („დინამო“), მეორე ადგილი დაიკავა გ. ბურჯანაძემ („ნაპერწკალი“). ქალთა შორის გაიმარჯვა მ. მატუშკინამ („ნაპერწკალი“), მეორე ადგილზე გამოვიდა თ. ტატიაშვილი („მეცნიერება“). მეორე თანრიგოსან ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ე. ცომაიამ („ნაპერწკალი“), ხოლო ქალთა შორის ს. მამონტოვამ („ნაპერწკალი“).

მხატვრულ ტანვარჯიშში პირველობა მოიპოვა რ. პენკოვამ, მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ანდრონიკაშვილი (ორივე „ნაპერწკლიდან“).

აკრობატიკაში გამარჯვებული გამოვიდა ოთხეული მ. ქელეხსაშვილის, გ. გარსევანიშვილის, ი. ჩესნოკისა და პირველთანრიგოსან შ. ძამაშვილის შემადგენლობით. შერეულთა წყვილში გაიმარჯვეს გ. გარსევანიშვილმა და ზ. იაკუბმა, ხოლო ვაჟთა წყვილში გ. გარსევანიშვილმა და ი. ჩესნოკმა.

გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა სასპორტო საზოგადოება „ნაპერწკლის“ კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის დიპლომი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორიუმში

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორიუმში მიმდინარე წლის ნოემბერში წაიკითხავენ ლექციებს:

15 ნოემბერს — დოცენტი ნ. აბესაძე—„თანამედროვე შეხედულება ვირუსების შესახებ და ბოშიანის შრომა ვირუსებისა და მიკრობების ბუნებაზე“.

22 ნოემბერს — პროფესორი ლ. კალანდაძე—„ნახტომების ფორმები ბუნებასა და საზოგადოებაში“.

29 ნოემბერს — პროფესორი ს. ჯაუხიშვილი —„საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან“.

ლექციები შედგება სააქტო დარბაზში, დღის 3 საათზე.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე—ახალი მიღწევებისათვის სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

სამგორის მშენებლობის მეორე რიგი.

საკავშირო ინფორმაციები.

მეორე გვერდი — ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და ამხ. ნ. მ. შვერნიკისადმი.

მესამე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია. ამხანაგ ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1951 წ. 13 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე.

მეოთხე გვერდი — პალმირო ტოლიატის სიტყვა რომში დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო კრებაზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნა ლონდონში. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

16 ნოემბერს

6.45 — უვერტიურები. 9.20 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ს. ლემეშევის კონცერტი. 10.30 — ალ. ჭავჭავაძის ლექსები. 18.10 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის ბ. დიდებულიძის შესრულებით. 18.30 —გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15—ს. ცინცაძის მესამე სიმებიანი კვარტეტი. 20.30—რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—კამერული მუსიკა. 20.45 — კონცერტი ტ. მახარაძის და ი. ჯავახიშვილის შესრულებით. 21.10 — ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: „მოძრაობა და განვითარება ბუნებასა და საზოგადოებაში“. 21.30 — კონცერტი რადიოკომიტეტის სოლისტის თ. ბახტაძის შესრულებით. 21.55 — სიმფონიური მუსიკა. 22.40 — ნაწყვეტი ს. ბაბაევსკის რომანიდან: „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“. 24.00 — საბალეტო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„გედების ტბა“ (მე-9 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—„ადამიანებო, ფხიზლად იყავით“ (პრემიერა); **მარჯანიშვილის სახელობის**—„რომეო და ჯულიეტა“; **გრიბოედოვის სახელობის** — „სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება“ (31-ე აბ.); **სომხური დრამის**—„ნამუსი“; **მუსიკალური კომედიის**—„მზის დაბნელება“ (მე-11 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ორმის წყარო“ (პრემიერა, მე-9 აბ. დასაწყისი 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** —„თოვლის დედოფალი“ (10 ს.), „ორი კაპიტანი“ (6 ს.); **სანკულტურის** — „კარგი ამხანაგი“; **საცირკო**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი“, „ამირანი“ — „ოცნება გზაში“; **„თბილისი“** — „პეტერი“; **„კომკავშირელი“**—„სალამოს 6 საათზე ომის შემდეგ“; **„იხანი“**—„სიძულვილის სკოლა“; **„სპარტაკი“**—„მექსიკელი ქალიშვილი“; **26 კომისრის სახელობის**—(I დარბაზი)—„ქვის ყვავილი“, (II დარბაზი)—„პეტერი“; **„კოლმეურნე“**, **„დიდუბე“**—„ჩემი საუნჯე“; **„კოლხიდა“**—„სიცილიის ცის ქვეშ“.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1951 წლის 28 ნოემბერს,—დღის 2 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ზაქარია ლავრენტის-ძე შველიძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბალხოხნური მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის 70-იან წლებში“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი ი. ცინცაძე, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი ი. კაჭარავა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს კომუნალურ ბანკს ესაჭიროება მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე ქალაქ თბილისში სამუშაოდ.

საჭიროა ქართული და რუსული ენების ცოდნა. პირობების გასაგებად მიმართეთ საქართველოს კომუნალური ბანკის კადრების განყოფილებას (ბერიას მოედანი № 10).

მოქალაქე რუბენ ვახტანგის-ძე ანტონიანმა, მცხოვრებმა ქუთაისის ქ. № 16, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ევგენია ერვანდის ასულ არუთინოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

გამომცემლობა „კომუნისტს“ ესაჭიროება ცეცხლფარეში ორთქლგათბობისათვის. მიმართეთ გამომცემლობა „კომუნისტის“ ადმინისტრაციას. ლენინის ქ. № 14, III სართული.

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია და პედაგოგები იუწყებიან **რაჟდენ აბუხერიძის** გარდაცვალებას.

და თალიკო, სიძე ვანო კახაძეები, დისწულები ენდრიკო, ლალი იუწყებიან, რომ 18-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **კუკური ვლადიმერის-ძე ქაჯაიას** პანაშვიდი.

შვილები მანია, ანა, თინა, ლუსია, სარქის, სიძეები ქ. ბარსეგოვი, გ. ბაბაჯანოვი, რძალი მარო, შვილიშვილები სიმა, ლიზა, გულნარა, ჯუანშერ, ჯევატი, რიმზეთი, ვანო, ნანული იუწყებიან **ხოფიო ეხტატეს ასულ ხუბიროვას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XI, 5 ს. მცხეთაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი იუწყება პროფესორ **კარპეზ დარიხპანის-ძე დონდუას** გარდაცვალებას.

შვილები სერგო, ალექსანდრე მეტრეველები, რძალი ცაცა სირბილაძე, შვილიშვილი ნუკრი იუწყებიან ექიმ **ოლღა სოლომონის ასულ მეტრეველის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XI, 7 ს. გამოსვენება 18-XI, 2 ს. ვეძინის, 12.

ლიბანის სანატორიუმის კოლექტივი იუწყება ექიმ **რიმა დავითის ასულ ხულაბერიძე-ბერიშვილის** გარდაცვალებას.

და ნინო, ძმა ტიმოთე ჟღენტები, სიძე დავით, დისწულები ვახტანგ, მაყვალა, თინა, შოთა კუპრავები, ვალერიან ჰანიშვილი იუწყებიან **ნადია ივანეს ასულ ჟღენტი-ნუცუბიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI, ქუთაისში. გამოსვენება ბარათაშვილის პირველი შესახვევი, 3.

ბიძები გიორგი, სერგო, ანდრო, დალი ფოფხები, ბიცოლები ოლია, მერი, ნატო, ქეთევან შვილებით იუწყებიან **დალი ივანეს ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XI, ქ. ჭიათურაში, გამოსვენება სტალინის ქ. 34.

მშობლები თეოდორა, არსენ, ძმა იური, მამიდები ფატმან, ვერა ჟღენტები, სიძე ერმალოზ კეკელიძე შვილებით იუწყებიან **გივი არსენის-ძე ჟღენტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI, დაბა ჩოხატაურში.

მარიამ ფალავანდიშვილი, ნოდარ და გულბათ კარბელაშვილები ოჯახებით იუწყებიან რძლის და ბიძაშვილის **ელენე პეტრეს ასულ ფალავანდიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 15-XI, 5 ს. ვარდისუბნის, 12.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-78-24, მოწერისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05270